ვაჟა სულხანიშვილი

ქართული პარლამენტის სათავეებთან

ISBN 5 — 89512 — 070 — 9

© საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნა", 1991 წ.

რედაქტორი დოც. **გ. იობაშვილი**

გარეკანი მხატვარ **თ. ზარიფაშვილისა**

გადაეცა წარმოებას 21. 08. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 04. 91 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32; ნაბეჭდი თაბახი 1,68; სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 1,4.

ტირაჟი 20.000 შეკვ. 1856

ფასი 1 მან.

საქართველოს რესპუბლიკის
ი. ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნა"
თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 47

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს
- სტამბა, 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14.
Типография Грузинского журнально-газетного издательства
«Самшобло», 380096, Тбилиси, ул. М. Костава № 14.

პარლამენტარიზმი სახელმწიფოებრივი მართვის მთელი სისტემაა, რომელსაც დღესდღეობით მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. მმართველობის ეს სისტემა, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, სათავეს XIII ს. ინგლისიდან იღებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში არის აზრი, რომ პარლამენტური წყობის შექმნის ცდა იყო რენესანსული ეპოქის საქართველოშიც.

რუსეთის ისტორიამ არ იცის ჭეშმარიტი პარლამენტური მმართველობა. „სახელმწიფო სათათბირო", რომელიც 4 მოწვევის ისტორიას ითვლის რევოლუციამდელ რუსეთში, არ იყო პარლამენტი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, რადგან მას არ ჰქონდა არავითარი უზენაესი საკანონმდებლო სტატუსი.

ჭეშმარიტი პარლამენტის შექმნის ცდას რუსეთში ადგილი ჰქონდა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ეს იყო დამფუძნებელი კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის ყველა საკითხი. მაგრამ ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს მის საწყის ეტაპზე — 1918 წ. 6 (19) იანვარს, რითაც ჩაიდინეს უდიდესი დანაშაული ხალხის წინაშე. იმ დროიდან მოყოლებული ქვეყნის მმართველობა წარიმართა დიქტატურის გზით. 1936 წლის კონსტიტუციამ საბჭოთა ქვეყანაში ფორმალურად დააკანონა პარლამენტი, მაგრამ მას მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა. რუსეთი მხოლოდ დღეს შედის საპარლამენტო მოძრაობის ეპოქაში.

1918 წლის 26 მაისს რუსეთის კოლონიური ჩაგვრისაგან თავდაღწეული და სუვერენულ უფლებებში აღდგენილი საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელიც საბჭოურ ოკუპაციამდე 3 წლის მანძილზე პარლამენტარიზმის გზით ახორციელებდა ქვეყნის მმართველობას. ქართული პარლამენტი უნიკალური

ძოვლენა იყო, მაგრამ სამწუხაროდ ჯერჯერობით აბსოლუტურად შეუსწავლელი, რადგან ჩვენს ისტორიოგრაფიაში დადგენილი სტერეოტიპის მიხედვით იგი რეაქციულ, კონტრრევოლუციურ ორგანოდ ხასიათდებოდა.

ნაშრომის მიზანია, მოკლედ გააშუქოს ქართული პარლამენტის შექმნის ისტორია.

* * *

ქართველი ხალხის საუკუნოვან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მოსაბრუნს 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია წარმოადგენს. ამ რევოლუციამ დაამხო რუსეთის იმპერიაში თვითმპყრობელური რეჟიმი, რომელიც ჩაგრავდა რუს ხალხს და ორმაგად — იმპერიის შემადგენლობაში იძულებით მოქცეულ არარუს ხალხებს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ გზა გაუხსნა დემოკრატიულ საფუძველზე ქვეყნის ძირფესვიანი გადახალისების ეპოქას, ხოლო არარუსი ერებისათვის გადაშალა სრული ეროვნული თვითგამორკვევის, ადრინდელი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის რეალური შესაძლებლობა. რუსეთის ჩაგრული ერები დაუყოვნებლივ იწყებენ განახლების ამ დიდ გზაზე გამოსვლას და საჭიროდ არ თვლიან, ელოდონ დამფუძნებელ კრებასაც კი, რომელსაც დროებითი მთავრობა ანდობდა რევოლუციისშემდგომი ყველა საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ თვითგამორკვევის პრობლემა ყველაზე თანმიმდევრულად წინა პლანზე წამოსწიეს ფინეთის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის, უკრაინის ეროვნულ-პოლიტიკურმა ძალებმა. ამ ძალებს წარმატების იმედი გაუჩნდათ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, როცა ანტანტის მხარეზე ომში ჩაბმულმა რუსეთმა წარუმატებლობა განიცადა და იძულებული გახდა, ტერიტორიის დიდი ნაწილი დასავლეთის მხარეზე მოწინააღმდეგისათვის ჩაებარებინა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი ტრადიციების მიუხედავად, თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პრობლემა არ დასმულა. პოლიტიკურ ასპარეზს საქართველოში ამ დროიდან დაეპატრონა სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშე-

ვიზმი), რომელიც ეროვნულ საკითხს, ისე როგორც ადრე, თებერვლის შემდგომაც მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა და წინა პლანზე რეაქციასთან ბრძოლაში იმპერიის პროგრესულ ძალთა ერთობლივ ძალისხმევას აყენებდა. ეროვნული პრობლემისადმი გულგრილი, ნიჰილისტური დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთას, როგორც ცნობილია, მისი ჩამოყალიბების დროიდანვე ახასიათებდა.

ეროვნული ავტონომიისათვის ბრძოლის დიდი ტრადიციები ჰქონდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, რომელიც ფართო ავტონომიის პრობლემას თავის პროგრამაში ძუდამ წინა პლანზე აყენებდა. თებერვლის რევოლუციის შემდგომი ვითარება ამ პროგრამის განხორციელების საუკეთესო შესაძლებლობას ქმნიდა. მაგრამ სწორედ ამ პერიოდიდან სოციალ-ფედერალისტური მიმართულების ძალთა პრაქტიკული საქმიანობა ერთგვარად მინელდა. ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ თვით მასების განწყობილებაში: რევოლუციის მოულოდნელი გამარჯვებით ეგზალტირებული მასა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების რევოლუციურ ფრაზეოლოგიას აჰყვა და ერთიანი ფრონტით მთავარ შეტევას სოციალური უსამართლობის აღმოფხვრის წინააღმდეგ წარმართავდა. ამ დინებამ სოციალისტ-ფედერალისტებიც გაიყოლია. იმის შიშმა, რომ მასებისაგან იზოლაციაში არ აღმოჩენილიყვნენ, აიძულა ისინი სოციალიზმის მოდური ლოზუნგის უპირატესობა გაეზიარებინათ. რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, ანუ საქართველოს ავტონომიის პრაქტიკულ მშენებლობას, მისი დაკანონება მათაც მომავალ დამფუძნებელ კრებას მიანდეს.

ყველაზე თანმიმდევრულ ძალას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში წარმოადგენდა ქართველ ინტელიგენტთა ის მცირე ჯგუფი, რომელიც 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდა. ამ პარტიის ისტორიას ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჩვეულებრივ იწყებენ თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდგომი პერიოდიდან, რაც არაა ძართებული. სინამდვილეში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წიაღში თავიდანვე, ე. ი. 900-იან წლებში გაჩნდა ავტონომისტებისაგან განსხვავებული მიმართულება. ეს იყო ე. წ. მემარჯვენე ფრთა, რომელიც ეროვნულ საკითხში უშუალოდ თერგდალეულთა პროგრამას აგრძელებდა და რუსეთთან

ურთიერთობის საფუძვლად 1783 წლის ტრაქტატს მიიჩნევდა. რევოლუციამდელ პერიოდში ამ მიმართულების მესვეურნი იყვნენ გ. დეკანოზიშვილი, თ. სახოკია, პ. სურგულაძე, ლ. კერესელიძე, გ. მაჩაბელი და სხვები. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ფრთა ყველაზე მეტ აქტიურობას იჩენდა ქართველი მებრძოლი მასების შეიარაღებაში. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მისი თაოსნობით განხორციელდა საზღვარგარეთ იარაღის შეძენა და საქართველოში მისი ფარულად გამოგზავნა. ეს დიდი კონსპირაციული ღონისძიება თავდადებით განახორციელეს გიორგი დეკანოზიშვილმა, თედო სახოკიამ, პავლე ყიფიანმა და სხვებმა[1].

ეროვნულ-დემოკრატიული ძალების ერთ პარტიად გაერთიანების ცდას ჯერ კიდევ 1905 წელს ჰქონდა ადგილი. ამ პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი დამფუძნებელ კრებაში და მისი მეისტორიე ალ. ასათიანი შენიშნავს, რომ „მესამოციანელთა“ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების **პოლიტიკურ პარტიად** (ხაზი ჩვენია. — პ. ს.) ჩამოყალიბების ცდას უკვე 1905 წელს ჰქონდა ადგილი“[2]. ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ეწყობა თათბირები, სადაც გადაწყდა პოლიტიკური პარტიის დაარსება ეროვნულ-დემოკრატიული სახელწოდებით. შემუშავებულ იქნა და დაიბეჭდა პარტიის პროგრამა და წესდება, მაგრამ საქმე არსებითად ამას ვერ გასცდა.[3]

რეაქციის წლებში ინტელიგენციის ამ ჯგუფის ერთი ნაწილი იძულებული შეიქმნა ევროპაში გახიზნულიყო. გ. დეკანოზიშვილმა საფრანგეთს შეაფარა თავი და იქ 1910 წელს გარდაიცვალა.

ევროპის სხვადასხვა ქალაქებში თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას ენერგიულად განაგრძობდნენ პეტრე სურგულაძე, ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი, გიორგი მაჩაბელი და სხვები. ეროვნუ-

---

[1] მარკოზ ტუღუში, გიორგი დეკანოზიშვილი (ცხოვრება და მოქმედება). ჟურნ. „კავკასიონი“, № 10, 1965 წ., პარიზი, გვ. 144-145.

[2] ალექსანდრე ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა. წიგნი I. პარიზი, 1928. გვ. 124; გიორგი გვაზავა, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე, პარიზი, 1928, გვ. 4).

[3] იქვე, გვ. 125.

ლი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ძლიერი ჯგუფი კონსპირაციულად მოღვაწეობდა თბილისში. ამ ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სიმონ ყიფიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, რევაზ გაბაშვილი, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვები. ეს ჯგუფი თბილისში სცემდა საკუთარ გაზეთსაც „ერის" სახელწოდებით, რომელიც „ცენზურის დევნის გამო სხვადასხვა სახელით გამოდიოდა და გაბედულად მოითხოვდა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას"[1].

ჟენევაში პეტრე სურგულაძემ ძმებთან ლეო და გიორგი კერესელიძეებთან ერთად დააარსა გაზეთი „თავისუფალი საქართველო". ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი მესვეურები, მართალია, ევროპის სხვადასხვა ქალაქებში იყვნენ გაფანტული (მიხაკო წერეთელი — ლონდონში, გიორგი მაჩაბელი — ბერლინში), მაგრამ მათ სისტემატური კავშირი ჰქონდათ ჟენევის ჯგუფთან და აქტიურად თანამშრომლობდნენ გაზეთ „თავისუფალ საქართველოში". ეს გაზეთი ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე გამოდიოდა ამგვარი დევიზით: „შემოქმედი საქართველო, ქართული დემოკრატია ეროვნული განთავისუფლების გზაზე მომუშავე, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი — აი ვის მივმართავთ ჩვენ! დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა! — აი ჩვენი მიზანი"[2].

ეროვნულ-დემოკრატიული ძალების საქმიანობა განსაკუთრებით გაცხოველდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდანვე. რუსეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში გერმანიის წარმატებებმა და საომარი პლაცდარმის შექმნამ თვით კავკასიაში ამ ჯგუფს, რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იმედები აღუძრა. მეფის რუსეთის ამ მტრულ ძალებთან დროებითი კავშირი მათ სა-

---

[1] კალისტრატე სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს (მასალა ისტორიისათვის): ჟურნ. „კავკასიონი".

[2] გაზ. „თავისუფალი საქართველო", № 1, 1908 წ. ჟენევა. გიორგი გვაზავა, პეტრე სურგულაძე, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1931, № 63, გვ. 12.

ქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხელშემწყობ ღონისძიებად მიაჩნდათ. ჟენევის „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ კავშირი გააბა გერმანიის პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან. მოლაპარაკება გაგრძელდა თბილისში მას შემდეგ, როცა ეს კომიტეტი ჟენევიდან საქართველოში დაბრუნდა. გერმანიის მთავრობასა და ქართულ კომიტეტს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გერმანიის მთავრობა ვალდებულებას იღებდა, თუ იგი ომში რუსეთს დაამარცხებდა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა მიეცემოდა, ეცნო საქართველოს სუვერენიტეტი. ოსმალეთის მთავრობასთან მსგავსი ხელშეკრულების დასადებად სტამბოლში გაემგზავრა დამოუკიდებლობის კომიტეტის ჟენევის ჯგუფი. კონსტანტინოპოლში შეიქმნა ე. წ. „დადიანის კომიტეტი“. დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელით მიხაკო წერეთელს და გიორგი მაჩაბელს ცალ-ცალკე მოლაპარაკებაც ჰქონდათ ჟორდანიასთან, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურთან, ეროვნული ძალების ანტირუსულ დაჯგუფებად გაერთიანების შესახებ. ეს „სეპარატიზმი“ ნ. ჟორდანიამ არ გაიზიარა. „იმ დროსო, — შენიშნავს ნ. ჟორდანია, — დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ ჩვენ კიდევ არ გვქონდა პარტიული აზრი, საერთო გადაწყვეტილება.“[1] ამრიგად, 1917 წ. თებერვლის რევოლუციის პირველი დღიდანვე ქართულ სინამდვილეში ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში გამოკვეთილი იყო 4 ძირითადი მიმართულება: 1. ეროვნულ-დემოკრატიული, ანუ ეროვნული სუვერენიტეტის დაუყოვნებლივი აღდგენისათვის მებრძოლი; 2. სოციალისტ-ფედერალისტური, ანუ ფართო ეროვნული ავტონომიის მომხრე, რომელიც ამ პროგრამის განხორციელებას დამფუძნებელ კრებას ანდობდა; 3. სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური), რომელიც დამოუკიდებლობის პრინციპებისადმი ინდიფერენტულად იყო განწყობილი და მთელი ყურადღება დემოკრატიული რევოლუციის განხორციელებაში იმპერიის ძალთა მთლიანობაზე გადაჰქონდა და 4. სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური), რომელიც ომში საკუთარი

---

[1] ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული (მოგონებანი), პარიზი, 1958, გვ. 102-103.

მთავრობის დამარცხებისა და სამოქალაქო ომში სოციალისტური რევოლუციის ლენინურ პროგრამას იზიარებდა.

ამ ოთხი მიმართულებიდან მასების მხრივ ყველაზე დიდი მხარდაჭერა სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას ჰქონდა. ჩვენი კვლევის საგანი არაა იმ მიზეზთა ძიება, რამაც ამ პარტიისადმი მშრომელი მასების განსაკუთრებული ნდობა განაპირობა. აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს და აქვე დავსძენთ, რომ სწორედ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის გულგრილობამ და გაურკვეველმა პოზიციამ ეროვნულ საკითხში განაპირობა ის ერთგვარი ინდიფერენტიზმი, რაც მოვლენათა მსვლელობას ახასიათებდა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდგომ თვეებში.

„რევოლუციამდე ქართველ პოლიტიკურ პარტიათა შორის ავტონომიის საკითხი ყველაზე ცხოველი პაექრობის საგანს წარმოადგენდა. ნაციონალისტები სოციალ-დემოკრატებს ბრალად სდებდნენ იმას, რომ ისინი უარს ამბობდნენ ხალხთა მასების ყურადღების ცენტრში დაეყენებინათ ავტონომიისათვის ბრძოლის. საკითხი, რომ ისინი თავისი ხალხის ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ რუსეთის რევოლუციის ინტერესებს. ქართველი სოციალ-დემოკრატები კი ჯოხს მეორე მხარეზე ღუნავდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისათვის ბრძოლა საქართველოს პირობებში იყო ვიწრო ნაციონალისტური მოთხოვნა, რაც თავის მხრივ ასუსტებდა თვითმპყრობელობის დამხობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლას რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად. საქართველოს მუშათა და გლეხთა მასები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს სოციალ-დემოკრატებს“ — ასე ამართლებს ქართველ თანამზრახველთა პოლიტიკას ცნობილი სოციალ-დემოკრატი ირაკლი (კაკი) წერეთელი[1]. ბუნებრივია, ამ პოზიციის ერთ-ერთი მესვეური თავის მოგონებებში ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გარდა ფინეთისა და პოლონეთისა, რევოლუციამდელ რუსეთში, საერთოდ, არ იყო თვალსაჩინო, რომ არარუს ხალხთა შორის ეროვნული სუვერენიტეტის იდეა არ ამეღავნებდა წამყ-

---

[1] И. Церетели. Воспоминания о февральской революции, книга первая, Париж, 1963, стр. 83.

ვან ტენდენციას და ომის წლებშიც სეპარატიზმის გამოვლინებას არავითარი პოპულარობა არ მოუპოვებიათ.

სინამდვილეში საქმე ასე არ ყოფილა: ეროვნულ-დემოკრატიული ძალები ამ მხრივ პრაქტიკული საქმიანობის აუცილებლობას გრძნობდნენ. ყველაზე აქტიური მაინც აღმოჩნდა სასულიერო ასპარეზი. ქართულმა ეკლესიამ კარგად გამოიყენა თვითმპყრობელობის რეჟიმის დაცემა და მაშინვე დაიწყო ავტოკეფალიის განხორციელება, რაც 1917 წ. მარტში დაგვირგვინდა კიდეც ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

მართებულია ალ. ასათიანის დებულება. რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც მოხდა 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში, იყო პირველი ეტაპი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში და, ამასთან ერთად, ის იყო „ფრიად რთული რევოლუციური აქტი და ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია იყო ერთადერთი საერო ძალა, რომელიც აწყობდა და ამზადებდა ამ საქმეს თავიდანვე, ჩვენს მღვდელმთავრებთან ერთად"[1].

ამავე ძალებმა თებერვლის რევოლუციის შემდეგ პრაქტიკული საქმიანობა გააჩაღეს და ქუთაისში მოიწვიეს დამფუძნებელი ყრილობა, სადაც ორგანიზაციულად გაფორმებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამოქმედო პროგრამაც იქნა დამტკიცებული.

ეს პროგრამა სამ ძირითად დებულებას ემყარებოდა: „პირველი იყო ეროვნული სუვერენობის იდეა, მეორე — სოციალური ცხოვრების კერძო საკუთრების ნიადაგზე შენება და მესამე — სახელმწიფოებრივი წყობის აგება მთელი ერის, მთელის ხალხის უფლება-მოვალეობათა თანასწორობის ნიადაგზე, ხალხური, დემოკრატიული მმართველობის საფუძველზე"[2].

ეს სამი ცნება, რომელიც ქართული ეროვნული აზროვნების ხაერთო მონაპოვარს, ხოლო არსებითად „თერგდალეულთა" იდეური მესვეურის — ილია ჭავჭავაძის — მოძღვრებას ეფუძნებოდა, ფართო პროპაგანდას პოვებდა იმდროინდელ ქართულ პრესაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია

[1] ალექსანდრე ასათიანი, ძველი და ახალი შემკვიდრეობა, გვ. 149.
[2] იქვე, გვ. 142.

პეტრე სურგულაძისა და გიორგი გვაზავას წერილები. ნიშანდობლივია, რომ 1917-18 წწ. დამდეგს კონსტანტინოპოლში დაიბეჭდა და ცალკე ნაშრომებად გამოვიდა პეტრე სურგულაძის სამი ნაშრომი, რაც ეროვნული სუვერენიტეტის პრობლემებსა და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ პრინციპებზე აგების დასაბუთებას ეძღვნებოდა[1].

ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის პროპაგანდა რევოლუციის პირველ თვეებში მაინც სუსტი და ეპიზოდური იყო და სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას, რა თქმა უნდა, ვერ შეაკავებდა. ამას თვით ახალი პარტიის მესვეურებიც გრძნობდნენ და მთელ იმედებს ამყარებდნენ დამფუძნებელ კრებაზე, რომელსაც, საერთოდ, ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხთა ბედ-იღბალი უნდა გადაეწყვიტა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ი. მაჭავარიანმა 1917 წ. აგვისტოს ე. წ. „დემოკრატიულ თათბირზე“ პეტროგრადში აღნიშნა, რომ „საქართველო თავის სურვილებს განუცხადებს მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, მანამდე კი საქართველოს საკითხი არ არსებობსო“[2].

თუ თვალს გადავავლებთ ეროვნული თვითგამორკვევის პროცესს თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში იგი, მისი განსაკუთრებით დიდი ტრადიციების მიუხედავად, მაინც სუსტი იყო. გაცილებით ძეტად აქტიურობდნენ ამ მხრივ აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნული მიმართულების პარტიები. მუსავატელთა პარტია ენერგიულად ეწეოდა ამიერკავკასიის მუსლიმური რწმენის ხალხთა კონსოლიდაციას და ცალი თვალი თურქეთის იმპერიაზე ეჭირა. კონსოლიდაციის ამ გზაზე დიდმნიშვნელოვანი ძოვლენა იყო ამიერკავკასიის მუსლიმთა ყრილობა, რომელძაც თვითგამორკვევის გარკვეული პროგრამა ჩამოაყალიბა. დიდი იყო დაშნაკციუტუნის აქტივობაც, რაც პირველი მსოფლიო ომის დღიდანვე დაიწყო და „დიდი სომხეთის“ შექმნის

---

[1] იხ. პეტრე სურგულაძე, საქართველო თავისუფლებისაკენ. სტამბოლი, 1917; მისივე: საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტამბოლი, 1918; მისივე: დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, სტამბოლი, 1918;

[2] გრიგოლ ურატაძე, ნამდვილი და ყალბი ისტორია. პარიზი, 1958. გვ. 46.

ლოზუნგით მიმდინარეობდა, საქართველოში ორივე პარტიას ჰქონდა გაჩენილი თავ-თავისი ეროვნული საბჭოები.

ვითარება აყენებდა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობასაც. ადგილებზე ამ კონსოლიდაციის ინტენსიურ პროცესს განაპირობებდა ერობები, რომელთა შექმნა „ოზაკომმა" დააკანონა.

ამ მხრივ პირველი გაუბედავი ნაბიჯი იყო ინტერპარტიული საბჭო, რომელიც 1917 წლის აპრილში შეიქმნა. მასში სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების და ეროვნული დემოკრატების წარმომადგენლები შევიდნენ. აპრილის სხდომებზე ამ საბჭოზ დააყენა საქართველოს ტერიტორიული საზღვრებისა და ეროვნული სეიმის საკითხები, მაგრამ მსჯელობა მხოლოდ თეორიულ დონეზე მიმდინარეობდა.

ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს ბიძგი მისცა 1917 წ. ოქტომბერში რუსეთში მომხდარმა სოციალისტურმა გადატრიალებამ. ამიერკავკასიაში ამ მოვლენამ დააჩქარა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია — სულ ცოტა ორი უმთავრესი ფაქტორის შედეგად: 1. ამიერკავკასიის არცერთმა პარტიამ, გარდა ბოლშევიკებისა, არ ცნო ოქტომბრის გადატრიალების კანონზომიერება და მას ზურგი შეაქცია; 2. თვით ოქტომბრის „სოციალისტურმა რევოლუციამ" მის პირველსავე დეკლარაციებში საზეიმოდ აღიარა რუსეთის იმპერიის ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის მიზანშეწონილობა, ხოლო ერთა სრული თანასწორობა და სუვერენიტეტი სოციალისტური სისტემის მთავარ პირობად გამოაცხადა. იმ პარტიებმა, რომლებიც მოვლენათა ფარვატერში იდგნენ, დაუყოვნებლივ მიჰყვეს ხელი ამიერკავკასიაში რეალური ძალაუფლების დაპატრონებას.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ამ გზაზე იყო „ამიერკავკასიის კომისარიატის" შექმნა. ამ ორგანომ დროულად აუღო რა ალღო მხარის პოლიტიკურ სიტუაციას, გარკვეული ნაბიჯი გადადგა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ამიერკავკასიის სეიმი", რომელშიაც შევიდნენ ბოლშევიკური საბჭოთა მთავრობის მიერ გარეკილი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დეპუტატები. „ამიერკავკასიის კომისარიატისა" და

სეიმის ღონისძიებებს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში (წოდებრიობის გაუქმება, აგრარული კანონი, ერობათა შექმნა და სხვ.) საზოგადოებრიობის ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა, დემოკრატიული გადახალისების ვითარებაში წოდებრივი პრივილეგიების ილუზიურობას კარგად აუღო ალღო ქართველმა თავად-აზნაურობამ და თავისი წინამძღოლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, კოტე აფხაზის ხელმოწერით აუწყა საზოგადოებრიობას, რომ თავისი წოდების საერთო ქონებას ამიერიდან იგი ქართველი ხალხის საკუთრებად აცხადებდა და მას გადასცემდა. ამ ეროვნული აქტის გასაფორმებლად საჭირო, შეიქმნა ეროვნული ყრილობის მოწვევა, რაც 1917 წლის აპრილში შექმნილმა „ინტერპარტიულმა საბჭომ" ითავა.

ეროვნული ყრილობა საქართველოს ყველა ეროვნების, წოდების, პარტიის ინტერესებს ასახავდა. მისი 350-მდე დელეგატი წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიებს (67), ქალაქების თვითმმართველობებს (33), საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტებს (89), მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს (15), კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს (35), თავად-აზნაურობას (20), ქართულ ჯარს (20), მასწავლებელთა კავშირს (9) კოოპერატორებს (8), ქართულ პრესას (9), ვაჭრობა-მრეწველობისა და საბანკო უწყებას (26), ქართველ საზოგადოებრიობას სხვადასხვა ქვეყნებში (6), საკათალიკოსო საბჭოს (1), ქართველ მაჰმადიანებს და ქართველ კათოლიკეებს (7), საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს (3), აფხაზებს (2), სხვადასხვა დაწესებულებებს (8).[1] ყრილობას ესწრებოდნენ აგრეთვე მეზობელ ერთა და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი პრუსევალსკი, საქართველოს კათოლიკოსი და სხვები.

„ინტერპარტიული საბჭოს" სახელით ყრილობა გახსნა აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ოქტომბრის შემდეგ რუსეთში ყველა ერი პოლიტიკურად ჩამოყალიბდა და ცდილობს, თავისი ინტერესების დაც-

---

[1] გაზ. „ერთობა", 1918, 20 ნოემბერი. შდრ. გრიგოლ ურატაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821—1921 წწ., გვ. 89—90.

ვასო. რუსეთში გაჩნდნენ სხვადასხვა ერების პოლიტიკური სხეულები. ჯერი მიდგა ამიერკავკასიის ერებზე და „ამ ყრილობას, — დასძინა ბოლოს, — შეიძლება საქართველოს დამფუძნებელი კრება მოჰყვესო“. შესავალი სიტყვის შემდეგ ა. ჩხენკელმა თავმჯდომარის პოსტზე მოუწოდა ნ. ჟორდანიას. ნ. ჟორდანიამ თავის პირველ გამოსვლაში ყრილობის ამოცანად დასახა ორი ძირითადი საკითხის გადაწყვეტა: „1. საქართველოს ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა, 2. შექმნა იმ საფუძვლისა, რომელზედაც უნდა აგებულიყო ქართველი ხალხის თავისუფალი კულტურული განვითარების დაწესებულებანი“. ყრილობის 20 ნოემბრის სხდომაზე ნ. ჟორდანია გამოვიდა ვრცელი მოხსენებით „მიმდინარე მომენტი და ქართველი ერი“. მოხსენება იმ ვითარებაში მოქმედების ერთობლიობას ასაბუთებდა. წარმატების პირობად გამოცხადებულ იქნა მოქმედების საერთო ნიადაგი. საბჭოთა რუსეთს საქართველო ეთიშებოდა მანამ, ვიდრე იქ ანარქია არ აღიკვეთებოდა და დამფუძნებელი კრება არ გაარკვევდა კანონიერი ხელისუფლების საკითხს. ეროვნულ საკითხში ნ. ჟორდანია ადრინდელი პროგრამის ჩარჩოებით იფარგლებოდა.

ყრილობაზე თავადაზნაურობის მიერ ბოძებული ქონების ჩაბარებისა და მოვლის გარდა, დღის წესრიგში სხვა რიგის საკითხებიც დააყენა. ეს საკითხები შეეხებოდა თვითმმართველობას, არმიას, სკოლას, სასამართლოს და ა. შ. ყველა საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია. ყრილობამ აირჩია საბჭო (60 კაცის შემადგენლობით), რომელმაც იმავე დღესვე შექმნა აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასრულებელ კომიტეტში შევიდა 8 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი, 2 ეროვნულ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-რევოლუციონერი და ერთი წარმომადგენელი სამაჰმადიანო საქართველოდან. ბოლშევიკურმა პარტიამ ეროვნულ ყრილობას, ისევე როგორც „ამიერკავკასიის კომისარიატს“, ბოიკოტი გამოუცხადა.[1] იგი ამიერკავკასიის ხალხებს მოუწოდებდა შეურიგებელ ბრძოლას ამ „კონტრრევოლუციურ“ წარმო-

---

[1] გაზ. „ერთობა“, 21 ნოემბერი, 1918 წ., გრიგოლ ურატაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში, გვ. 93.

ნაქმნთა წინააღმდეგ. ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ასეთი ნიჰილიზმი, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის დიდი შეცდომა იყო. მოვლენათა განვითარებას ალღო გაცილებით უკეთ აუღეს მენშევიკებმა, რომლებმაც იგრძნეს, რომ ეროვნულ საკითხში ადრინდელი ინდიფერენტული პოზიცია მათ გავლენას დიდ ზიანს აყენებდა და გეზის შეცვლა საჭიროდ ჩათვალეს. ბოლშევიკთა ჯგუფი კი დაჟინებით იცავდა ისევ ძველ პოზიციას და ეროვნულ კონსოლიდაციას ნათლავდა „მავნე სეპარატიზმად“, იგი იმ დროისთვის მთელ ყურადღებას მიმართავდა საბჭოური ძალაუფლებისაკენ და მოითხოვდა „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ შედეგად პეტროგრადში ჩამოყალიბებული ბოლშევიკური მთავრობის აღიარებას და მის მიერ აღებული გეზით მოქმედებას.

საქართველოს 19—20 ნოემბრის პირველი ეროვნული ყრილობა ალექსანდრე ასათიანს მიაჩნია პოლიტიკური დამოუკიდებლობის „მეორე მნიშვნელოვან ეტაპად“ და ეს მართებული აზრია. ამ ყრილობამ მართლაც დაუდო სათავე ეროვნულ სუვერენიტეტს. ამრიგად, საქართველოს ეს პირველი ეროვნული ყრილობა ყველაზე მიზანსწრაფული და დიდმნიშვნელოვანი აქტი იყო დამოუკიდებლობისაკენ. ეს ყრილობა იყო სათავე ქართული ეროვნული პარლამენტისა.

ეროვნული სუვერენიტეტის ინტელექტუალურ შემზადებაში ასევე დიდი როლი შეასრულა უნივერსიტეტის დაარსებამ. 1918 წლის იანვარში გახსნილმა ეროვნულმა უმაღლესმა სასწავლო და სამეცნიერო კერამ შეგროვიკრიბა ქართველ მოღვაწეთა ფართო ჯგუფი და სულიერი სიმხნევე მისცა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მასებს.

მაგრამ ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებაში ძირითადი და გადამწყვეტი მაინც საგარეო ფაქტორი აღმოჩნდა.

1918 წ. 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილი ზავის პირობებით საბჭოთა მთავრობამ ისე, რომ ამიერკავკასიის ხალხებისათვის არაფერი უკითხავს, თურქეთს დაუთმო არდაგან-ბათუმის ოლქები. ზავის ამ უმძიმესი პირობების მიღება შეუძლებელი იყო და იგი მართებულად უარყო ამიერკავკასიის სეიმმა. თურქეთი კი მისთვის მიკუ-

თვნებული ტერიტორიების დაკავებას შეუდგა. საზავო კონ-ფერენციამ ტრაპიზონსა და ბათუმში სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. სეიმმა თურქეთის მოთხოვნით დამოუკიდებ-ლობა გამოაცხადა, მაგრამ ვითარება ამის შემდეგაც არ შეცვლილა. თურქეთის ინტერვენციას ამიერკავკასიაში ფა-რულად აქეზებდა სეიმში შემავალი მუსავატისტური პარ-ტია.

1918 წელს მაისის დამდეგისათვის კონკრეტული ვითა-რება უმძიმესი იყო: თურქთა ჯარებმა ჯერ კიდევ 7 აპრილს დაიკავეს ოზურგეთი. მხოლოდ მეორე დღეს, გბირული თავ-განწირვით, ვალოდია გოგუაძის ჯავშნიანი მატარებლის დახ-მარებით, ქართველთა რაზმებმა შეაჩერეს თურქთა წინსვლა ჩოლოქთან. ამავე დროს თურქთა აგენტებმა — წერს ვ. ნო-ზაძე, — „ახალციხის მაზრაში გამოიწვიეს იქ მცხოვრებ თათარ-თა აჯანყება. აჯანყებულებმა 19 ქართული სოფელი დაარ-ბიეს და ააწიოკეს: აიღეს აბასთუმანი, აწყური, ზეკარი და ალყა შემოარტყეს ახალციხეს; ამიერკავკასიის მთავრობის ეგ-რეთწოდებული „მაჰმადიანური პოლკიც“ ქართული მხედ-რობის წინააღმდეგ იბრძოდა. ამავე დროს ბოლშევიკები თა-ვიანთი აგენტების მეოხებით არევ-დარევასა და უწესრიგო-ბას იწვევდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ხალხს მოუწოდებდნენ არ ებრძოლათ თურქეთის წინააღმდეგ მე-ტად პრიმიტიული დასაბუთებით: სულ ერთია, ევროპაში და თურქეთშიც ბოლშევიზმი დამყარდება და საზღვრებს აღა-რავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებაო! ასე ქადაგებდა ბუ-დუ მდივანი ქუთაისის ერთ დიდ სამობილიზაციო კრება-ზე!

თუ ამ ზუსტად დახატულ სურათს შევავსებთ იმ მოვლე-ნით, რომ თვითონ ამიერკავკასიის მთავრობაში აზერბაიჯა-ნელთა წარმომადგენლები თურქეთთან ომზე უარს აცხადებ-დნენ და მის გამარჯვებას ხელსაც უწყობდნენ, მაშინ ნათელი გახდება ის მართლაცდა უნუგეში მდგომარეობა, რომლის მი-ხედვით ომის გაგრძელება სრულებით შეუძლებელი იყო. ვი-ნაიდან დამხმარე ძალა ირსაიდან ჩანდა და იარაღიც არ მოი-პოვებოდა. ერთადერთი გამოსაცალი იყო — ისევ საზავო მოლაპარკების განაწლება, მაგრამ ამიერკავკასიას არ შეეძლო ხავზე ლაპარაკი სანამ იგი ფორმალურად რუსეთის ნაწილად

ითვლებოდა! ამიტომ საჭირო შეიქმნა რუსეთიდან ჩამოშორება, გამოყოფა და დამოუკიდებლობის გამოცხადება".[1]

საქმის ვითარებაში ღრმად ჩახედული კაცის მიერ დახატული სურათია! ნართლაც, 1918 წ. მაისისათვის საქართველო კატასტროფის წინაშე იდგა. სამხრეთ საქართველოს ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა. ინტერვენციით გათამამებულმა თურქებმა მესხეთში აჯანყება მოაწყვეს. ხელთ იგდეს მთელი ეს მხარე. ნათ საგანგებო კრებებზე მიიღეს დადგენილება, რომ მესხეთი თურქეთისათვის შეეერთებინათ. ამის თაობაზე მიღებული დადგენილების ტექსტი გაგზავნეს ბრესტ-ლიტოვსკში, ტრაპიზონში, ხოლო შემდეგ ბათუმის საზავო კონფერენციაზე. ამ დადგენილების განსახორციელებლად მათ 40 დელეგატი აირჩიეს, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ პრაქტიკულად განეხორციელებინათ მესხეთში მცხოვრებ თურქთა გადაწყვეტილება.[2] ახალციხეში გამომწვევად მოქმედებდა თურქ ექსტრემისტთა ჯგუფი აზერბაიჯანელი მუსავატი სულთანოვის მეთაურობით. მუსლიმური ეროვნული საბჭო ამზადებდა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. ოსმალთა მიერ წაქეზებულ ბსხვილ მიწათმფლობელებს მესვეურობდა სერვერ ბეგი, რომელიც ახალციხე-ახალქალაქის მხარეში ქართველობის ნიშან-წყალს ანადგურებდა და მთელი მხარის ოსმალეთისათვის მიერთებას ამზადებდა. ოსმალეთი თითქოს წაყრუებით ეკიდებოდა საქართველოს სამხრეთში მიმდინარე ამბებს და ოფიციალურად განზე იდგა თურქული მოსახლეობის ექსტრემისტული საქმიანობისაგან, მაგრამ საქმეში ღრმად ჩახედულთათვის ცხადი იყო, რომ ყველა აქცია პანთურქისტული წრეების მიერ იყო შემზადებული და წარმოადგენდა იმ გეგმის ნაწილს, რომლის განხორციელებას თურქეთის ხელისუფლების იმდროინდელი მესვეურები პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდანვე ისახავდნენ მიზნად.

საქართველოს სამხრეთში დატრიალებული ანტიქართული აქციების სალიკვიდაციოდ ეროვნულმა საბჭომ აქტიუ-

---

1 ხ. ვარდანი (ვ. ნოზაძე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა: ჟურნ. „კავკასიონი", 1947, პარიზი. გვ. 38—39.

2 ვიქტორ ნოზაძე. საქართველოს „ოდგენისათვის" ბრძოლა მესხეთის გამო. ჟურ. „ქართველოსტანი", 1993 [illegible] 31.

რი ბრძოლა გააჩაღა. ეროვნული საბჭოს ინიციატივით გამოცხადდა ქართველი ახალგაზრდობის მობილიზაცია. კავკასიის ფრონტზე მებრძოლი ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან ჩამოყალიბდა სამხედრო ნაწილები, რომლებიც წინ აღუდგნენ თურქეთის ინტერვენციას. ესეც ეროვნული საბჭოს ინიციატივა იყო. ენერგიული ზომები იქნა მიღებული ბათუმის დასაცავად. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო ოპერაციას ბათუმის ნავსადგურში მყოფი რუსეთის გემების პირადი შემადგენლობის თვითნებობის ასალაგმავად. ამ გემების რუსმა მეზღვაურებმა შექმნეს „დამოუკიდებელი კომიტეტი", რომელიც არ ცნობდა არავითარ ხელისუფლებას და ქალაქის დაპატრონებას ცდილობდა. იგი ფაქტიურად წყალს ასხამდა თურქ დამპყრობთა წისქვილზე. შავი ზღვის სამხედრო ფლოტს საბჭოური ე. წ. „ცენტროფლოტი" განაგებდა. თურქთა ინტერვენციისაგან ბათუმის დაცვაში მას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. „ცენტროფლოტმა" ქართველ მხედრობას აღუთქვა კიდეც დახმარება, მაგრამ საიდუმლოდ კავშირი გააბა თურქთა საინტერვენციო ძალებთან და აღუთქვა მხარდაჭერა ბრესტის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერიტორიების დაკავებაში.

ქართულმა სამხედრო ნაწილებმა შეძლეს დაეკავებინათ ნავსადგური, აჭრილიყვნენ გემებზე და განეიარაღებინათ 300-მდე მეზღვაური, რომლებიც ქალაქში დათარეშობდნენ და ათასგვარ უწესობას ჩადიოდნენ. სამხედრო ხომალდ „კაროლ კარლის" პირადი შემადგენლობის განიარაღების შემდეგ ბათუმის ნავსადგურში წესრიგი დამყარდა.

უაღრესად დაძაბული ვითარება შეიქმნა საქართველოს ცალკეულ რაიონებში, ფრონტიდან დაბრუნებული გაბოლშევიკებული ჯარისკაცების წაქეზებით აგრარული უწესოებანი დაიწყო ლეჩხუმში, საჩხერეში, სამეგრელოსა და, განსაკუთრებით, აფხაზეთში.

ეს შინაური ფრონტი მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს და საქართველოს თავდაცვითს უნარიანობას დიდად ასუსტებდა. ამ დროის შინაური ანარქია იმდენად ანტიეროვნულ აქციად ჩანდა, რომ ოფიციალურად ბოლშევიკური ორგანიზაციის დასავლეთ საქართველოს კომიტეტმაც დაგმო იგი

და საქართველოს მშრომელებს ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა, მაგრამ ამ მოწოდებას ძალა არ აღმოაჩნდა. შინაური ანარქია უფრო და უფრო ღრმავდებოდა და წალეკვით ემუქრებოდა ეროვნულ-დემოკრატიულ მონაპოვარს.

„საერთოდ ყველა ის ომი და შეტაკება, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამიერკავკასიის ფარგლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხანაში და დამოუკიდებელი არსებობის დროს, — შენიშნავს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, — აშკარად, თუ ფარულად, მაგრამ სავსებით ოსმალეთისა და რუსეთის მიერ იყო გამოწვეული და ნაწარმოები. ქართველი ერის სუვერენობის აღდგენის მომენტში მას ულმობლად სცემდა მახვილს და ცეცხლს უკიდებდა ოსმალეთი და იმავე დროს ზურგიდან ესხმოდა რუსეთი, რომელიც ხან აშკარა რუსულ-ქართულ ფრონტებს უქმნიდა ნორჩ რესპუბლიკას, ხან კიდეე მოუსვენრად და განუწყვეტლივ სწევდა უაზრავ ხარჯებსა და მსხვერპლს, რომ თვით ქართველი ხალხის მთლიანობა შიგნიდან მოეშალა, ამ მიზნით სოციალისტურ სამოსელში გახვეული იჭრებოდა თავის მოსაზღვრე და მახლობელ პროვინციებში, დუშეთში, ოსეთში, აფხაზეთ-სამეგრელოში და სამოქალაქო მოძრაობის ნილაბქვეშ საქართველოს დასამხობად რუსულ დაპყრობით ომს აწარმოებდა“[1].

ასეთი იყო ვითარება, როცა მოვლენათა მსვლელობამ დღის წესრიგში დააყენა ამიერკავკასიის სეიმისა და ფედერაციული მთავრობის დაშლის საკითხი.

ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირი, რომელიც 1918 წ. აპრილში შეიქმნა, თავისთავად როდი იყო რეაქციული, ან კავკასიის ხალხთა ინტერესების მტრული გაერთიანება. პირიქით, მსოფლიო ომის პირობებში იგი თითქოს აუცილებელი ჩანდა. მაგრამ იმავე ომმა დაამტკიცა, რომ ეს ნაბიჯი ნაადრევი იყო, რადგან მას წინ არ უძღოდა შემავალ რესპუბლიკათა სუვერენობის აღდგენა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოწყობა. რუსეთის ასწლიანი ბატონობის ვითარე-

[1] გრიგოლ ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე (ხელნაწერი).

ბაში ეროვნულად განგებ ათქვეფილი ამიერკავკასია ჯერ უნდა გაყოფილიყო და გამოქნილიყო ტერიტორიულად. მათ ჯერ „უნდა გამოეკვეთათ თავიანთი გარკვეული სახე და შემკვრივებული სხეული. სრულიად აუცილებელი იყო ეს პროცესი იმიტომ, რომ საუკუნეთა განმავლობაში სამხრეთელმა და ჩრდილოეთელმა დაშპყრობლებმა განზრახ ათქვიფეს და ააფორიაქეს ეთნოგრაფიულად ამიერკავკასია, ხელოვნურად მიხლიჩ-მოხლიჩეს და ააჭრელეს მოსახლეობა, რომ მით მოესპოთ საშუალება ეროვნულ სახელმწიფოთა აღორძინებისა და. ამრიგად. განუკითხავად ებატონათ... ამიერკავკასიელი ხალხებისა და, კერძოდ. ქართველი ერის ნორმალური განვითარება მძლავრად მოითხოვდა ჯერ გაყოფას, ეროვნული ოჯახის მოგვარება-დალაგებას. ეზო-გარემოს გარკვევით შემოფარგვლას, ერთი სიტყვით, ეროვნულ დაწვდომა-დაკრისტალებას და მხოლოდ ამის შემდეგი საფეხური იქნებოდა სამთა თავისუფალი საერთაშორისო კავშირი და არა ჯოგური აღრევა და ათქვეფა ერთ უსახო ამიერკავკასიის სახელმწიფო კავშირში". — სავსებით მართებულად შენიშნავს გრ. ლორთქიფანიძე.[1]

1918 წლის 11 მაისს ბათუმში გაიხსნა თურქეთ-ამიერკავკასიის საზავო კონფერენცია. თურქეთის დელეგაციის მეთაური ვეჰხიბ ფაშა მოლაპარაკების წინა პირობად აცხადებდა ამიერკავკასიის ჯარების მიერ ყარსის, ბათუმის, არდაგანის ოლქების დაუყოვნებლივ დატოვებას.[2] ულტიმატუმზე უარის შემთხვევაში თურქეთის მხარე ალექსანდროპოლსა და თბილისზე შეტევითი ოპერაციების განახლებით იმუქრებოდა. 14 მაისს ხალილ ბეიმ ამიერკავკასიის მთავრობას მოსთხოვა, მიეცა თანხმობა მისი სარკინიგზო ქსელის გამოყენებისა თურქეთიდან სპარსეთში საბრძოლო ნაწილების გადასაყვანად. საქართველოს საზავო-დელეგაციის მეთაურის ა. ჩხენკელის პროტესტის მიუხედავად, თურქებმა თავიანთი მოთხოვნა ულტიმატუმის სახით ჩაშოაყალიბეს და მისთვის რომ მეტი სიმტკიცე მიეცათ, დაიკავეს ალექსანდროპოლი. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ბათუმის მოლაპარაკებაში მონაწი-

[1] გრიგოლ ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე (ხელნაწერი).

[2] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 86.

ლეობის მისაღებად გაემგზავრა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. ქართულმა დელეგაციამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეში ჩაერია გერმანიის დელეგაცია, როგორც შუამავალი საქართველოსა და თურქეთს შორის. თურქეთის მოთხოვნათა უსამართლობის შესახებ საპროტესტო ნოტა გადაეცა გერმანიის მთავრობას და ყველა სახელმწიფოს, მათ შორის რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასაც; 15 მაისს ბოლშევიკურმა რუსეთმა გამოაცხადა, რომ იგი არ ცნობს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას და მოითხოვა დაშვება ბათუმის საზავო კონფერენციაზე. საბჭოთა მთავრობამ ამიერკავკასიის სეიმი უზურპატორულ ხელისუფლებად გამოაცხადა.[1] ამ ვითარებაში ცხადია, სეიმს არ შეეძლო მიეღო საბჭოთა წინადადება. მოლაპარაკებაში საბჭოთა მთავრობის მონაწილეობა არ აწყობდა არც თურქეთს, არც გერმანიას. გერმანიის დელეგაცია — ფონ ლოსოვის მეთაურობით, ბათუმში ჩამოვიდა თურქებისათვის მოულოდნელად. გერმანიაზე ორიენტაციის აღება იმ კონკრეტულ ვითარებაში ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, გერმანიის მთავრობას ამიერკავკასიაში საკუთარი ინტერესებიც ჰქონდა, მაგრამ ახლა მხოლოდ მას, როგორც თურქეთის მოკავშირეს და პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდანვე მთელი მისი საგარეო პოლიტიკის წარმმართველს, შეეძლო ეხსნა საქართველო თურქეთის მხრივ ოკუპაციისაგან. მით უმეტეს, რომ გერმანია-თურქეთის ურთიერთობაში თავს იჩენდა სერიოზული უთანხმოებანიც.

ნოე ჟორდანიამ და საზავო დელეგაციის მეთაურმა აკაკი ჩხენკელმა სეიმთან შეუთანხმებლად, ეროვნული საბჭოს რწმუნებით დაიწყეს სეპარატიული მოლაპარკება გერმანიის დელეგაციის მეთაურ ფონ ლოსოვთან, რომელსაც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ისედაც ავალებდა, გავლენა მოეხდინა თურქეთზე და მისი პრეტენზიები ამიერკავკასიის მიმართ შეეზღუდა ბრესტის საზავო პირობებით. მიუხედავად იმისა, რომ ხალილ ბეიმ მოლაპარკებაში გერმანიის დელეგაციის ჩარევაზე პროტესტი განაცხადა, ფონ ლოსოვი განაგრძობდა აკაკი ჩხენკელთან მოლაპარაკებას. მო-

[1] დასახ. კრებული გვ. 291.

ლაპარაკების პროცესში დღის წესრიგში დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივი გამოცხადების საკითხი. საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული ხელისუფლების არსებობის ვითარებაში საქართველოს ეროვნულ საბჭოს არ შეეძლო დამოუკიდებლივ ემოქმედა. იგი სეიმის დასტურის გარეშე გერმანიასთან ვერ დადებდა ვერავითარ შეთანხმებას. სეიმისგან კი ასეთი დასტური არ იყო მოსალოდნელი, ვინაიდან მუსავატელებიც და დაშნაკებიც მოლაპარაკებაში საკუთარი პროგრამით ხელმძღვანელობდნენ, რაც საქართველოს ინტერესებს უპირისპირდებოდა.

უმძიმესი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი იყო მთელი ძალაუფლების ეროვნული საბჭოსათვის გადაცემა და მისი დასტური გერმანიასთან ხელშეკრულების დადების თაობაზე. ამრიგად, ნოე ჟორდანიას და აკაკი ჩხენკელს საქართველოს დამოუკიდებლობის საბოლოო გადაწყვეტილება უკარნახა კონკრეტულმა კრიზისულმა საგარეო ვითარებამ, თუმცა ეს გადაწყვეტილება პრინციპში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნულ კონცეფციას უპირისპირდებოდა.

„დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი. მისი გატარება ჩვენს რევოლუციურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანად. ამ მისიით დავბრუნდი თბილისშიო“, — წერს თავის მოგონებებში ნოე ჟორდანია.[1]

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თბილისის გაფართოებულ კრებაზე ნოე ჟორდანია განოვიდა მოხსენებით შექმნილი სიტუაციის და საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობის შესახებ, დამოუკიდებლობის რეზოლუციას კრება მხარდაჭერით შეხვდა. ამიერიდან ვითარების ბატონ-პატრონი შეიქმნა ეროვნული საბჭო. სეიმის ქართველმა შემადგენლობამაც მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას. ქართულ პრესაში გაჩაღდა პროპაგანდა გერმანიის მთავრობაზე ორიენტაციის აღების მიზანშეწონილობაზე. ამავე საკითხზე კრებები გაიმართა ყველა რაიონულ ორგანიზაციაში. თბილისის ინტელიგენცია და მუშათა კლასი მოწოდე-

---

[1] ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, პარიზი, 1953, გვ. 128.

ბის სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებლობას. ამასთან სასწრაფოდ დგებოდა რაზმები თურქ აგრესორთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადება ნაინც იგვიანებდა. აკაკი ჩხენკელი ბათუმიდან დეპეშას დეპეშაზე გზავნიდა იმის თაობაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადებულიყო დაუყოვნებლივ. „ამის გარეშე გერმანიის დელეგაციასთან მოლაპარაკებას აზრი ეკარგება. თურქები კი შეტევას განაგრძობენო“.

24 მაისის დეპეშაში აკაკი ჩხენკელი იტყობინებოდა, რომ მან თითქმის დაამთავრა მოლაპარაკება გერმანელებთან და გამზადებული აქვს ხელის მოსაწერად რამდენიმე დროებითი ხელშეკრულება. იტყობინებოდა აგრეთვე, გერმანიის წარმომადგენლად საქართველოს მთავრობასთან ინიშნება გრაფი შულემბურგიო.

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს — გიორგი გვაზავას — დააკისრა საბოლოოდ დაეხვეწა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც შემუშავდა ბათუმში ზ. ავალიშვილის და პ. სურგულაძის მონაწილეობით. ტექსტი მზად იყო 26 მაისისათვის, თუმცა სეიმის მუსავატმა დეპუტატებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

26 მაისს სეიმს გადაეცა თურქეთის დელეგაციის ულტიმატუმი. 42 საათის განმავლობაში მთავრობას უნდა მიეღო გადაწყვეტილება თურქეთისათვის ახალციხე-ახალქალაქ-ალექსანდროპოლ-ეჩმიაძინ-სურმალინის მაზრების გადაცემისა და რკინიგზით თურქეთის ჯარების გადაყვანაზე თანხმობის შესახებ. სეიმი შეიკრიბა თითქოს ამ ულტიმატუმის განსახილველად, მაგრამ სეიმის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა ასეთი განცხადება გააკეთა:

„ჩვენ მუდამ ვიბრძოდით ერთა სოლიდარობა-თანხმობისათვის. ერთობა იყო იდეალი, მაგრამ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ჩვენი სურვილის წინააღმდეგ უნდა განვაცხადოთ, რომ როცა დიდი ხნით წყდება სხვადასხვა ერთა ბედი, როცა მტერი უკვე შემოიჭრა ჩვენს მხარეში და წინ

მოიწევს, — ერთობა, სოლიდარობა აღარ არის. რევოლუციის პირველი დღიდანვე სოციალ-დემოკრატია მთელ თავის ძალ-ღონეს ერთობის შექმნას ახმარდა, ჩვენ ვიბრძოდით ამ ერთობისათვის და ღრმად გვწამდა, რომ ეს ხელს უწყობს საკაცობრიო იდეალების განხორციელებას, მაგრამ ერთობა დაირღვა".

ეს განცხადება მუსავატური ფრაქციისათვის მოულოდნელი იყო. გადაწყვეტილების შესახებ იცოდა მხოლოდ დაშნაკების ფრაქციამ, რომელიც მსგავსი ნაბიჯისათვის ემზადებოდა. დებატების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია: „ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში ამიერკავკასიის ერთა შორის გამოაშკარავდა ძირითადი წინააღმდეგობანი და შეუძლებელია მოქმედება ერთი ავტორიტეტული მთავრობისა, რომელიც მთელი რესპუბლიკის სახელით ლაპარაკობდეს, — სეიმი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამიერკავკასიის მთლიანობა ფაქტიურად დაირღვა და აცხადებს სეიმს დაშლილად".

სეიმი 26 მაისის დილის სხდომაზე დაიშალა. ეროვნული საბჭოს აღმასკომს ამ დროისათვის უკვე შემზადებული ჰქონდა დეკლარაციის დოკუმენტი და 5 საათისათვის ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა იყო მოწვეული.

ამ ისტორიული სხდომის შესახებ დედაქალაქი მთლიანად იყო ინფორმირებული. სასახლის გარშემო შეკრებილი იყო დიდძალი ხალხი, რომელიც გულისფანცქალით მოელოდა საზეიმო დეკლარაციის გამოცხადებას.

5 საათზე ეროვნული საბჭოს წინაშე ნოე ჟორდანია გამოვიდა შემდეგი განცხადებით: „მოქალაქენო, დღეს თქვენ აქ მოწამე იყავით ერთი ისტორიული და იმავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქარტე-

ხილისაგან დაიფაროს თავისი თავი, და როცა ამას მოახერ-ხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერ-თად ჩავარდა დიდ განსაცდელში...“

10-წუთიანი შესავლის შემდეგ ნოე ჟორდანია კითხულობს დამოუკიდებლობის აქტს, რომლითაც ქვეყანას ეუწყა, რომ:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო. საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია“.

„დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუ-თარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორ-განოებიც შექმნეს: მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამი-ერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაიშალა“.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრი-ვი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებე-ლი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნუ-ლი ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლება-თა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუ-კიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორ-მა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტ-რალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს, საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7. „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე“.

1919 წლის 12 მარტს ეს აქტი დაადასტურა ახლადარჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ თავის პირველ სხდომაზე. ამ დეკლარაციას ასზე მეტმა ეროვნულმა მოღვაწემ მოაწერა ხელი.

სასახლესთან მოჯარულ ხალხს დეკლარაციის ქართული და რუსული ტექსტები წაუკითხეს ეროვნულ საბჭოს დეპუტატებმა. ტაშის გრიალით გამოხატა ხალხნა თავისი გულისნადები. დამსწრეთა გადმოცემით ამ დღეს ზეიმობდა მთელი თბილისი.

„სიონის ტაძრის ზარებმაც დარეკეს იმ დღეს, როგორც ეს ძველად იცოდნენ, როდეს მტრისაგან განთავისუფლებულ ქვეყანას თავისუფლებას მიულოცავდნენ ხოლმე“.[1]

ეროვნული საბჭოს იმავე გაფართოებულმა სხდომამ ფრაქციებთან წინასწარი შეთანხმებით შექმნა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარედ და შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრად —

---

[1] ბ. ვარდანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა, გვ. 39.

აკაკი ჩხენკელი; სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა გრიგოლ გიორგაძემ, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა — გიორგი ჟურულმა, განათლებისა — გიორგი ლასხიშვილმა, ნიწათმოქმედებისა — ნოე ხომერიკმა, იუსტიციისა — შალვა მესხიშვილმა, გზათა — ვანე ლორთქიფანიძემ. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეობა კვლავ დაეკისრა ნოე ჟორდანიას. საბჭოს შემადგენლობა გაიზარდა 120 კაცამდე და მას ეწოდა ქართული პარლამენტი. იმავე დღეს, საღამოს, ნოე რამიშვილმა უცხოეთის სახელმწიფოებს დეპეშით აცნობა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

ასეთ ისტორიულ ქარტეხილში იშვა საქართველოს სახელმწიფოებრიობა.[1] ასე დაიბადა იურიდიულად მისი საკანონმდებლო უმაღლესი ორგანო — ქართული პარლამენტი.

* * *

ეროვნული საბჭო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდანვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და 10 თვის განმავლობაში ენერგიულად ახორციელებდა თავის ფუნქციას — იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკის ნამდვილი ჭირისუფალი, ხალხის ნების გამომხატველი, მისი ბედ-იღბალის განმგებელი. ამ საკრებულოს დანიშნულებას შეესაბამებოდა ის ახალი სახელწოდება, რომლითაც იგი მოიხსენიეს 1918 წ. ოქტომბერში. 8 ოქტომბრის სხდომაზე დიდი კამათი იყო იმის თაობაზე, თუ რა სახელი შერქმეოდა ამ ორგანოს. იყო წინადადებანი, რომ მისთვის ეწოდებინათ „პარლამენტი“, „პალატა“, „კრებული“, „სათათბირო“, „დარბაზი“, „ეროვნული საბჭო“, „სახელმწიფო წარმომადგენელთა პალატა“, „დეპუტატთა პალატა“, „წარმომადგენელთა კრებული“, „სასახლე“, „საზოგადო საკანონმდებლო სასახლე“ და სხვ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვდა ეროვნულ საბჭოს შერქმეოდა „რესპუბლიკის დარბაზის“ სახელი, სოციალისტ-რევოლუციონერები შესაფერისად მიიჩნევდნენ „საქართველოს სახალხო პარლამენტს“ და

---

[1] გრიგოლ ურატაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში. 1821—1921, გვ. 129.

სწორედ ეს ბოლო წინადადება იქნა მიღებული უმრავლესობის მხარდაჭერით. ამრიგად 1918 წ. ოქტომბრიდან ეროვნული საბჭო საქართველოს ისტორიაში შევიდა საქართველოს პარლამენტის სახელწოდებით.[1]

საქართველოს პარლამენტმა [illegible]ი რწმუნების პერიოდში შეიტანა 125-ზე [illegible] ძირითადი კანონი. რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ცხოვრების ყველა საკითხი იხილებოდა ამ უმაღლეს ორგანოში და მისი სანქციით იქცეოდა კანონად, მთავრობის ხელისმოწერით. 1918 წ. 24 ივნისს, მთავრობის თავმჯდომარის პოსტი ნოე რამიშვილის ნაცვლად დაიკავა ნოე ჟორდანიამ. ნოე რამიშვილი კი შინაგან საქმეთა მინისტრად დარჩა. მთავრობის თავმჯდომარის შეცვლას რაიმე პროგრამული ხასიათის ცვლილება არ მოჰყოლია. პარლამენტის სხდომაზე ნოე ჟორდანიამ იმავე დღეს გააკეთა განცხადება, რომ მისი მისვლა მთავრობის სათავეში არ იყო პოლიტიკური და პროგრამული ხასიათისა და ამიტომ იგი არავითარ დეკლარაციას არ აქვეყნებდა. უცვლელი დარჩა მინისტრთა კაბინეტიც. ჟორდანიამ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომლებიც პირველ რიგში უნდა მოგვარებულიყო. ერთ-ერთი ასეთ საკითხთაგანი იყო მუდმივი არმიის შექმნა (ძირითადი კანონპროექტი მუდმივი ჯარის შექმნის შესახებ 1918 წ. 20 აგვისტოს იქნა მიღებული).

საქართველოს პარლამენტმა დიდი მუშაობა გასწია იმ მხრივაც, რომ უზენაეს ორგანოში წარმოდგენილი ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერის თუ ეთნიკური ჯგუფის ინტერესები.

1918 წ. 15 ოქტომბერს, ფრაქციათა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება: „მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევისა იმ ეროვნულ უმცირესობათ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობენ და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შესდგებიან. საჭელდობრ: სომხებს — 10, თათრებს — 4, აფხაზებს — 3, რუსებს — 2,

---

[1] ეროვნული საბჭო. 1918 წ. 7 ოქტომბრის სხდომის ანგარიში. გაზ. „საქართველოს" დამატება. გრიგოლ ურატაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში.

ოსებს — 2, ქართველ ისრაელებს — 2. ებრაელებს — 1, ბერძნებს — 1, გერმანელებს — 1. წარმომადგენლებს გზავნიან ამ ერების ეროვნული საბჭოები, ხოლო სადაც ასეთი საბჭოები არ არსებობს — გამოგზავნის უფლება ეძლევათ ერების წარმომადგენლებს, რომლებიც არჩეულნი არიან სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებებში საქართველოს რესპუბლიკაში. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, ვინ მელმაც ქართული ენა არ იცის, შეუძლია სიტყვა წარმოთქვას, გარდა თავისი დედაენისა, უმცირესობის ენით, რომელიც მიღებულია პარლამენტში. უმცირესობის ენაზე წარმოთქმული სიტყვის დედა აზრი გადმოცემულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე თუ ამას 15 დეპუტატზე არა ნაკლები მოითხოვს. პრეზიდიუმს უფლება აქვს მოულოდნელად შემოსული წინადადების აზრი გადასცეს სხდომას ერთ-ერთი უმცირესობის ენით". პარლამენტის ეს დადგენილება და ყველა სხვა ღონისძიებანი, რაც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართული ეთნიკური ჯგუფების ინტერესთა დასაცავად ხორციელდებოდა, იმას მოწმობს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ყოველმხრივ იცავდა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს და ქმნიდა შეუზღუდველ გარანტიებს მათი თანასწორუფლებიანობის დასაცავად, მათი ენის, კულტურის, ტრადიციების ყოველმხრივი შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

პარლამენტში განხილული საშინაო საკითხებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცების ღონისძიებანი, საფინანსო სისტემის მოგვარების ცდები, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისათვის ზრუნვა, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის ახალ, დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობა-მოწესრიგებისა და განვითარების ოპტიმალური გზების დასახვის ღონისძიებანი, ფართო ხასიათის გარდაქმნები სახალხო განათლებისა და კულტურის სფეროში; სკოლის გაეროვნულებისათვის დასახული ღონისძიებანი, თბილისის უნივერსიტეტზე ზრუნვა და ზრავალი სხვა. ქართული პარლამენტის სხდომებზე სისტემატური მსჯელობის საგანი იყო აგრარულ ურთიერთობათა პრობლემის გადაწყვეტა. აქვე იხილებოდა საქართველოს სხვადასხვა რაი-

ონებში აგრარულ მოძრაობათა გამომწვევი მიზეზები. პარლამენტის სხდომებზე მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ ბოლშევიკები დემოკრატიული საქართველო წინააღმდეგ ბრძოლისათვის განგებ აქეზებდნენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე არაქართველ ეთნიკურ ერთეულებს.

პარლამენტს ფრაქციალი საზრუნავი ჰქონდა საგარეო საკითხებშიც. მართალია, საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ თავისი საგარეო პოლიტიკის საპროგრამო მიზანდასახულებად ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ მას მაინც უხდებოდა მონაწილეობა მიეღო თავსმოხვეულ შეიარაღებულ კონფლიქტებში.

როგორც ცნობილია. პირველ მსოფლიო ომში გერმანელთა დამარცხების შემდეგ გერმანელთა ჯარები წავიდნენ საქართველოდან, ხოლო დამარცხებული თურქეთი იძულებული გახდა საქართველოსთვის დაებრუნებინა ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და ბორჩალოს მაზრის ნაწილი. გერმანელთა ნაცვლად ამიერკავკასიის ტერიტორია ინგლისელთა ჯარებმა დაიკავეს. საქართველოში ინგლისელებმა ბათუმი დაისაკუთრეს და აქ შექმნეს თავიანთი საგენერალ-გუბერნატორო კადეტ მასლოვის მეთაურობით. ინგლისელები თვითნებურად იქცეოდნენ საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის „ათვისების“ საქმეშიც. მათ ზრუნვა დაიწყეს „სამხრეთ-დასავლეთის რესპუბლიკის“ შესაქმნელად და ადგილობრივ თურქოფილურ ელემენტებისაგან შეადგინეს ე. წ. „ყარსის პარლამენტი“, რომელიც თურქეთის ინტერესებს გამოხატავდა და ამზადებდა ნიადაგს ამ რეგიონის საქართველოდან ჩამოცილებისათვის. „ყარსის პარლამენტმა“ ინგლისელთა სარდლობის იმედი არ გაამართლა. ამიტომ ეს პარლამენტი გარეკილ იქნა და ყარსის მართვა-გაგეობა სომხებს გადეცათ. ინგლისელთა ჩარევით გათამამებულმა სომხეთის მთავრობამ გადაწყვიტა ყოველგვარი წინასწარი მოლაპარკებისა და შეთანხმების გარეშე მიეტაცებინა ბორჩალოს მაზრის ტერიტორია და 1918 წ. დეკემბერში შეიჭრა ამ რეგიონში. ამასთან ერთად, მანვე ულტიმატუმით მოითხოვა ბორჩალოს მაზრის დაცლა მდინარე ხრამამდე. ასე დაიწყო სომეხ-ქართველთა ომი, რაც ორი ხალხის ისტორიული თანაცხოვრებისა და მეგობრობის ინტერესებს სრულიად არ შეესაბამებოდა და

მხოლოდ სომეხ ნაციონალისტთა ვიწრო ჯგუფის ინტერესებს უპასუხებდა, — მიზნად ისახავდა ე. წ. „დიდი სომხეთის“ აღდგენას.

საქართველო-ინგლის-კავკასიის წარმომადგენლების ურთიერთობათა გარკვევა, ქართველ-სომეხთა სასაზღვრო კონფლიქტების მიზეზების დადგენა და მისი აღკვეთისათვის ოპტიმალური გზების გამონახვა საქართველოს პარლამენტის 1918 წ. დეკემბრისა და 1919 წლის იანვარ-თებერვლის სხდომათა განხილვის ძირითად თემას წარმოადგენდა.

ერთი სიტყვით, არ ყოფილა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ცხოვრების რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომ საქართველოს პარლამენტს მის შესახებ თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას. ამიტომ ვისაც სურს, წარმოიდგინოს დამოუკიდებელი საქართველოს სისხლსავსე ცხოვრება ნთელი 1918 წლის მანძილზე და 1919 წ. პირველ თვეებში (დამფუძნებელი კრების შექმნამდე), იგი უნდა გაეცნოს საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიულ ანგარიშებს.

ქართული პარლამენტის იმ შემადგენლობამ, რომელიც 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა, რწმუნება ჩააბარა დამფუძნებელ კრებას, რომელიც 1919 წლის 12 მარტიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე დამოუკიდებელი საქართველოს უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა.